

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს

რეგლამენტი

მუხლი 1

ზოგადი ნაწილი

ნაწილი 1.1 განსაზღვრებები. გამუქებულ ტერმინებს, რომლებიც გამოიყენება, მაგრამ არ არის განმარტებული წინამდებარე რეგლამენტში, აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც 2013 წლის 26 ივლისს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომელიც მოქმედებს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის სახით და საქართველოს, შორის, რომელიც მოქმედებს მთავრობის სახით, გაფორმებულ ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტში (*შემდგომში კომპაქტი*); იმ შემთხვევაში თუ ეს ტერმინები არ არის განსაზღვრული კომპაქტში, ტერმინების განსაზღვრება მოცემულია პროგრამის იმპლემენტაციის შესახებ შეთანხმებაში.

ნაწილი 1.2 სახელი და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო ან MCA-Georgia არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 31 მაისის N441 ბრძანებულების შესაბამისად (*შემდგომში აღმჭურველი აქტი*).

ნაწილი 1.3 ორგანიზაცია. MCA-Georgia-ს სამეთვალყურეო საბჭოს აქვს სრული უფლებამოსილება, რომ მართოს MCA-Georgia. MCA-Georgia-ს სტრუქტურა აერთიანებს: (a) სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც შედგება წინამდებარე რეგლამენტის 3.7 ნაწილში მითითებული წევრებისაგან (*შემდგომში სამეთვალყურეო საბჭო ან საბჭო*), (b) სტრუქტურული ერთეულისაგან, რომელიც წარმართავს MCA-Georgia-ს ყოველდღიურ საქმიანობას (*შემდგომში მენეჯმენტის გუნდი*), და (c), MCA-Georgia-სთვის კონსულტაციის გაწევის და მის საქმიანობაში შესაბამისი წვლილის შეტანისა და კომპაქტის განხორციელების თაობაზე ინფორმაციის საჯარო გავრცელების მიზნებისათვის შექმნილი ერთი ან მეტი, საკონსულტაციო კომიტეტისგან (*შემდგომში თითოეული, საკონსულტაციო კომიტეტი და ერთობლივად, საკონსულტაციო კომიტეტები*), როგორც ეს უფრო კონკრეტულად არის აღწერილი წინამდებარე რეგლამენტში.

მუხლი 2

მიზანი და უფლებამოსილებები

ნაწილი 2.1 მიზანი და უფლებამოსილება. პროგრამის იმპლემენტაციის მიზნით MCA-Georgia მოქმედებს, როგორც მთავრობის უშუალო აგენტი და ახორციელებს მთავრობის უფლებებსა და ვალდებულებებს პროგრამის ზედამხედველობის, მართვისა და განხორციელების კუთხით, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ახორციელებს პროექტებისა და მათი აქტივობების იმპლემენტაციას, რესურსების გადანაწილებასა და შესყიდვებს. ის უფლებამოსილია, კომპაქტის, პროგრამის იმპლემენტაციის შესახებ შეთანხმებისა და აღმჭურველი აქტის შესაბამისად, შეასრულოს მთავრობის ვალდებულებები კომპაქტის, დამოუკიდებლად, გამჭვირვალედ და ანგარიშვალდებულების წესის დაცვით.

ნაწილი 2.2 უფლებაუნარიანობა. MCA-Georgia-ს, შეზღუდვის გარეშე, ექნება შემდეგი უფლებაუნარიანობა და უფლებაუნარიანობა:

- (a) შეასრულოს კომპაქტითა და მასთან დაკავშირებული შეთანხმებებით განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დააკისროს მთავრობას კომპაქტითა და მასთან დაკავშირებული შეთანხმებებით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები;
- (b) შეადგინოს საკუთარი ბიუჯეტი და ადასრულოს სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები;
- (c) საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით, კომპაქტითა და მასთან დაკავშირებული შეთანხმებებით, განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, დამოუკიდებლად იმოქმედოს, მიიღოს და ადასრულოს გადაწყვეტილებები;
- (d) განკარგოს MCC-ის ფინანსები;
- (e) საკუთარი სახელით შეიძინოს, ფლობდეს და განკარგოს ქონება;
- (f) საკუთარი სახელით გამოვიდეს სასამართლოზე მოსარჩელედ ან მოპასუხედ;
- (g) საკუთარი სახელით, დადოს, იკისროს ვალდებულება და შეასრულოს კონტრაქტები კერძო და საჯარო ორგანიზაციებთან, მათ შორის MCC, სხვადასხვა სამინისტროებსა და

დაქვემდებარებულ ორგანიზაციებთან (მათ შორის პროექტის განმახორციელებელ ორგანოებთან), თანამშრომლებთან, სერვის-პროვაიდერებთან და კონსულტანტებთან,;

- (h) MCC-ის მიერ დამტკიცებული განმახორციელებელი სააგენტოს შეთანხმებების საფუძველზე, განმახორციელებელი ორგანოების ჩართულობის უზრუნველყოფა და მათთვის გარკვეული უფლებების გადაცემა კომპაქტის შესაბამისად და MCC-ის თანხმობით;
- (i) დაეზღვიოს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა კომერციულ რისკებთან მიმართებით;
- (j) გახსნას საკუთარი საბანკო ანგარიში;
- (k) ზოგადად, განახორციელოს კომპაქტითა და პროგრამის იმპლემენტაციის შესახებ შეთანხმებითა და პროგრამის სახელმძღვანელო დოკუმენტებით განსაზღვრული მოვალეობები და უფლებამოსილებები,;

ნაწილი 2.3 MCA-Georgia არ ჩაერთვება პირდაპირ ან არაპირდაპირ, ისეთ საქმიანობაში, რომელიც აკრძალულია კომპაქტით და/ან საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 3

სამეთვალყურეო საბჭო

ნაწილი 3.1 სამეთვალყურეო საბჭოს როლი. MCA-Georgia-ს მართვას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო. სამეთვალყურეო საბჭო არის დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიმღები ორგანო და გააჩნია სრული უფლებაუნარიანობა და პასუხისმგებლობა (a) განახორციელოს MCA-Georgia-ს საქმიანობის მიმართულების განსაზღვრა და გადაწყვეტილებების მიღებაზე ზედამხედველობა და (b) იყოს პასუხისმგებელი პროგრამის სრულ განხორციელებაზე კომპაქტის, პროგრამის იმპლემენტაციის შესახებ შეთანხმებისა და ყველა დამატებითი შეთანხმებების შესაბამისად. სამეთვალყურეო საბჭო არის დამოუკიდებელი და საბოლოო გადაწყვეტილების მიმღები ორგანო კომპაქტთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად და კომპაქტისა და პროგრამის იმპლემენტაციის შესახებ შეთანხმების შესაბამისად, MCC-ის მიერ თანხმობის გაცემის (დამტკიცების) უფლებების გათვალისწინებით.

ნაწილი 3.2 სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობები. წინამდებარე რეგლამენტის 3.1 ნაწილში აღწერილი სამეთვალყურეო საბჭოს ძირითადი პასუხისმგებლობებისა და 3.3 ნაწილში აღწერილი არადელეგირებადი უფლებამოსილების შეუზღუდავად, სამეთვალყურეო საბჭო:

- (a) იხელმძღვანელებს MCA-Georgia-ს მარეგულირებელი დოკუმენტებით, კომპაქტის იმპლემენტაციის შესახებ მისი მისიის ჩათვლით;
- (b) აქტიურ მონაწილეობას მიიღებს MCA-Georgia-ს მართვის ზედამხედველობაში, მისი ანგარიშებისა და ასევე მისი თანამშრომლების მიერ გაწეული სამუშაოს შეფასების ჩათვლით;
- (c) ზედამხედველობას გაუწევს და მიმართულებას მისცემს მენეჯმენტის გუნდს; უზრუნველყოფს, რომ მენეჯმენტის გუნდი შედგებოდეს საჯარო ან კერძო სექტორიდან წარმოდგენილი კვალიფიციური ექსპერტებისაგან, რომლებიც დაქირავებულნი არიან ღია და კონკურენტული შერჩევისა და დანიშვნის პროცესის საშუალებით;
- (d) დაიცავს, შეინარჩუნებს და მართავს MCC-ის დაფინანსებით შემენილ აქტივებს და უზრუნველყოფს MCC-ის დაფინანსების გამოყენებას მისთვის განსაზღვრული მიზნებისათვის;
- (e) უზრუნველყოფს სამეთვალყურეო საბჭოს ყველა სხდომის წერილობითი ოქმების წარმოებას, სადაც აისახება ყველა მიღებული გადაწყვეტილება და განხორციელებული ქმედება;
- (f) უზრუნველყოფს MCA-Georgia-ს ჩანაწერებისა და ანგარიშების სიზუსტესა და სისრულეს;
- (g) უზრუნველყოფს, MCA-Georgia-ს რეგულარულ აუდიტორულ შემოწმებას დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ, MCC-სთან შეთანხმებული განრიგით; და
- (h) წინამდებარე რეგლამენტის მე-4 მუხლის შესაბამისად, აქტიურად ჩაერთვება და განიხილავს მენეჯმენტის გუნდის რეკომენდაციებსა და რჩევებს, და იმ შემთხვევაში, თუ მიზანშეწონილად ჩათვლის, მოითხოვს საკონსულტაციო კომიტეტებისაგან მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტები სამეთვალყურეო საბჭოს ან საჭიროებისამებრ მენეჯმენტის გუნდს;

ნაწილი 3.3 სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობები, რომელთა დელეგირება დაუშვებელია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა, სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელი იქნება:

- (a) შემდეგი საკითხების განხილვას, დამტკიცებასა ან არდამტკიცებაზე (და ეს პასუხისმგებლობა არ შეიძლება იქნეს მენეჯმენტის გუნდისათვის ან სხვაგვარად დელეგირებული):

- (i) თითოეული შესყიდვის გეგმა, მონიტორინგისა და შეფასების გეგმა, ან მათი ნებისმიერი არსობრივი მოდიფიკაცია;
 - (ii) ნებისმიერი მატერიალური შეთანხმება (გარდა მენეჯმენტის გუნდის შრომითი ხელშეკრულებებისა ამ შემთხვევაში გამონაკლისია, MCA-Georgia-ს აღმასრულებელი დირექტორის შრომითი ხელშეკრულება) ან მათი ნებისმიერი მოდიფიკაცია, შეწყვეტა ან შეჩერება, ან ნებისმიერ ისეთი ქმედება, რომელსაც შესაძლებელია ჰქონდეს მატერიალური შეთანხმების მოდიფიცირების, შეწყვეტის ან შეჩერების შედეგი;
 - (iii) MCC-ის დაფინანსების ან პროგრამის აქტივების ნებისმიერი სახის თავდებობის შესახებ, მატერიალური დავალიანების წარმოშობის, ან პირდაპირ ან არაპირდაპირ წარმოშობილ დავალიანების შესახებ;
 - (iv) MCA-Georgia-ს, ნებისმიერი განზრახვა, მისი მთლიანი ან ნაწილობრივი ლიკვიდაცია, დათხოვნა, დასრულება, რეორგანიზაცია ან სხვა ცვლილება, რომელიმე სახელმძღვანელო დოკუმენტის გაუქმების, მოდიფიცირების ან დამატების ჩათვლით;
 - (v) MCA-Georgia-ს აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნა და გათავისუფლება;
 - (vi) მენეჯმენტის გუნდის შემადგენლობისა და რიცხოვნობის ნებისმიერი ცვლილება;
 - (vii) საკონსულტაციო კომიტეტების შემადგენლობისა და რიცხოვნობის კუთხით ნებისმიერი მატერიალური ცვლილება;
 - (viii) MCA-Georgia-ს შვილობილი კომპანიის ან სხვაგვარად დაკავშირებული ორგანიზაციის ნებისმიერი სახით ფორმირება ან დაფუძნება;
 - (ix) პროგრამის სახელმძღვანელო დოკუმენტებით განსაზღვრული ნებისმიერი ისეთი დოკუმენტის, შეთანხმების დადება ან შეთავაზებული ქმედება, რომლებიც დამტკიცებულ უნდა იქნეს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ;
 - (x) MCA-Georgia-ს აღმასრულებელი დირექტორის შრომითი ხელშეკრულების ნებისმიერი მოდიფიკაცია, შეწყვეტა და შეჩერება, ან ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელსაც ექნება აღნიშნული ხელშეკრულების მოდიფიკაციის, შეწყვეტისა და შეჩერების შედეგი;
- (b) მთავრობისათვის რეკომენდაციის გაწევა სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერი წევრის, ან ნებისმიერი დამკვირვებლის, წევრის, რომელიც ასრულებს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციას, სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობისა და წევრთა

რაოდენობის ნებისმიერი ცვლილებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ან დამკვირვებლის ნებისმიერი ვაკანსიის შევსების შესახებ.

ნაწილი 3.4 ადმასრულებელი კომიტეტი. მართვის სახელმძღვანელო დოკუმენტების შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია ჩამოაყალიბოს მისი წევრებისაგან შემდგარი ადმასრულებელი კომიტეტი, რომელსაც ექნება გარკვეული შეზღუდული ქმედებების განხორციელების უფლება, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ (შემდგომ „ადმასრულებელი კომიტეტი“). იმ შემთხვევაში, თუ კომიტეტი ჩამოაყალიბდება საბჭოს მიერ, ადმასრულებელი კომიტეტის წევრების უმრავლესობა იქნება სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, ამასთან, მინიმუმ ერთი წევრი დაინიშნება კერძო სექტორის წარმომადგენლებისგან. ადმასრულებელი დირექტორი, აგრეთვე, იქნება ადმასრულებელი კომიტეტის წევრი. სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრი და დამკვირვებელი უფლებამოსილი იქნება, მიიღოს ადმასრულებელი კომიტეტისთვის წარდგენილი ყველა დოკუმენტი და მოთხოვნის შემთხვევაში, დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობა მიიღოს ადმასრულებელი კომიტეტის შეხვედრებში. სამეთვალყურეო საბჭომ უნდა განიხილოს ადმასრულებელი საბჭოს ქმედებების შესაბამისობა კომპაქტთან, მმართველ დოკუმენტებთან და მთლიანად პროგრამის განხორციელების მიმდინარეობასთან, საბჭოს რეგულარული შეხვედრების ფარგლებში. ადმასრულებელი კომიტეტის მიერ ნებისმიერი ქმედების განხორციელების თაობაზე შეტყობინება და ნებისმიერი მის მიერ დამტკიცებული დოკუმენტის ასლი წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს ყველა წევრსა და დამკვირვებელს, აღნიშნული ქმედების განხორციელების ან დამტკიცებიდან შვიდი (7) კალენდარული დღის განმავლობაში. შექმნის შემთხვევაში, ადმასრულებელმა კომიტეტმა, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, შესაძლოა განიხილოს და დაამტკიცოს შემდეგი დოკუმენტები:

- (a) ყველა გადახდის მოთხოვნა;
- (b) ყველა სამუშაო გეგმა და მისი ნებისმიერი მოდიფიკაცია;
- (c) ყველა აუდიტის გეგმა და მისი ნებისმიერი მოდიფიკაცია; და
- (d) ყველა პერიოდული ანგარიში;

იმ შემთხვევაში, თუ ადმასრულებელი კომიტეტი არ არსებობს ან ეს პასუხისმგებლობები არ არის დელეგირებული მასზე სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, ამ ქმედებების განხორციელებისა და დამტკიცებების უფლებამოსილება შეიძლება დელეგირებულ იქნეს

ადმასრულებელი დირექტორისთვის (ზემოთ ჩამოყალიბებული განხილვის პროცესის დაცვით), მაგრამ არ შეიძლება სხვაგვარად დელეგირებულ იქნეს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და უნდა განხორციელდეს თავად საბჭოს მიერ, წინამდებარე რეგლამენტის 3.3 ნაწილის შესაბამისად.

ნაწილი 3.5 სხვა კომიტეტები. სამეთვალყურეო საბჭომ შესაძლებელია, ჩამოაყალიბოს სხვა კომიტეტები, რომლებიც მოამზადებენ შესაბამის რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოსათვის. ასეთი კომიტეტები შესაძლებელია, შედგეს საბჭოს წევრებისგან და დამკვირვებლებისგან და სხვა პირებისგან, რომლებსაც გააჩნიათ კომიტეტისათვის საჭირო კონკრეტული გამოცდილება. სამეთვალყურეო საბჭო შესაძლოა დაეყრდნოს ინფორმაციას, მოსაზრებებს, ანგარიშებსა და მსგავს დოკუმენტებს, რომლებსაც მოამზადებენ ის კომიტეტები, რომლებიც შესაძლოა შექმნას სამეთვალყურეო საბჭომ, მაგრამ მიუხედავად ამისა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები პასუხისმგებელი იქნებიან კომიტეტების მიმართვის საფუძველზე ან მათ მიერ წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით მიღებულ უშუალო გადაწყვეტილებებზე, ან იმ გადაწყვეტილებებზე, რომელთა მიღებაც აუცილებელი და გონივრულია MCA-Georgia-ს სახელით და პროგრამის სწორად წარმართვისთვის,

ნაწილი 3.6 სამეთვალყურეო საბჭოს წევრების რწმუნებითი (ფიდუციარული) უფლებამოსილებების განხორციელების ვალდებულება. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ექნებათ MCA-Georgia-ს რწმუნებითი უფლებამოსილების შესრულების ვალდებულება. ისინი შეასრულებენ თავის მოვალეობებს, კომპაქტის განხორციელებისას ინფორმირებულობით და MCA-Georgia-ს საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელებით და რეგულარული შეხვედრების გამართვის გზით, საჭიროებისამებრ, MCA-Georgia-ს საქმიანობის განხილვისა და დამტკიცებისათვის. საბჭოს წევრების მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ ისინი მიიღებენ ობიექტურ და დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს და შეასრულებენ თავის მოვალეობებს, ისე როგორც ეს საუკეთესო იქნება პროგრამისა და MCA-Georgia-ს ინტერესებისათვის.

ნაწილი 3.7 შემადგენლობა.

(a) სამეთვალყურეო საბჭო შედგება შვიდი წევრისაგან:

(i) შემდეგი ხუთი წევრისგან (აღნიშნული წევრები, მათი შემცვლელი თანამდებობის პირების ჩათვლით, შემდგომში წოდებულნი, როგორც „**მთავრობის წევრები**“):

(i) პირი, რომელსაც უკავია პრემიერ-მინისტრის თანამდებობა, ან ასრულებს მის მოვალეობას;

(ii) პირი, რომელსაც უკავია ფინანსთა მინისტრის თანამდებობა, ან ასრულებს მის მოვალეობას;

(iii) პირი, რომელსაც უკავია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თანამდებობა, ან ასრულებს მის მოვალეობას;

(iv) პირი, რომელსაც უკავია იუსტიციის მინისტრის თანამდებობა, ან ასრულებს მის მოვალეობას;

(v) პირი, რომელსაც უკავია საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა, ან ასრულებს მის მოვალეობას;

(ii) შემდეგი ორი წევრისგან, კერძო სექტორიდან და/ან სამოქალაქო საზოგადოებიდან (შემდგომში წოდებულნი, როგორც „**კერძო სექტორის წარმომადგენელი წევრები**“ და საბჭოს მთავრობის წევრებთან ერთად, წოდებულნი, როგორც „**სამეთვალყურეო საბჭოს წევრები**“):

(i) სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციის ერთი წარმომადგენელი; და

(ii) კერძო სექტორის ერთი წარმომადგენელი.

(b)სამეთვალყურეო საბჭოში, ასევე, წარმოდგენილი იქნებიან დამკვირვებლები (ინდივიდუალურად, „**დამკვირვებელი**“):

(i)MCA-Georgia-ს აღმასრულებელი დირექტორი;

(ii)MCC-ის წარმომადგენელი; და

(iii) სხვა დამკვირვებლები, მთავრობისა და MCC-ის შეთანხმების შესაბამისად.

(c) დამკვირვებლები უფლებამოსილნი იქნებიან, რომ დაესწრონ და მონაწილეობა მიიღონ სამეთვალყურეო საბჭოს ყველა შეხვედრაზე და სრულად მიიღონ ის კორესპონდენცია და დოკუმენტაცია, რომელიც წარედგინება საბჭოს. დამკვირვებლებს არ აქვთ საბჭოს გადაწყვეტილებების მიღებისას ხმის მიცემის უფლება.

ნაწილი 3.8 შერჩევა; დანიშვნა; ვადები.

- (a) საბჭოს თითოეული მთავრობის წევრი იქნება მინისტრი, შესაბამისი სამინისტროდან, რომელსაც აქვს უფლებამოსილება, რომ იმოქმედოს სამინისტროს სახელით და აიღოს ვალდებულებები სამინისტროს სახელით, რომელსაც წარმოადგენს. საბჭოს თითოეული მთავრობის წევრი შევა საბჭოში, როგორც მინისტრი ან მთავრობის თანამდებობის პირი და არა პიროვნულად, როგორც კერძო პირი. იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს მთავრობის წევრი გადადგება ან გათავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან მის ადგილს სამეთვალყურეო საბჭოში დაიკავებს შესაბამის სამინისტროში, მთავრობაში დანიშნული მისი შემცვლელი პირი .
- (b) კერძო სექტორის წევრები შეირჩევიან გამჭვირვალე პროცესის საშუალებით, რომელსაც განსაზღვრავენ საკონსულტაციო კომიტეტები ან შესაბამისი არასამთავრობო სამოქალაქო საზოგადოების და კერძო სექტორის ორგანიზაციები, MCC-სთან შეთანხმების შესაბამისად.
- (c) კერძო სექტორის წევრები არჩეულ იქნებიან სამი წლით, რომლის გასვლის შემდეგ ეს ვადა შესაძლებელია განახლდეს. ნებისმიერ დროს, ერთი ან მეტი კერძო სექტორის წარმომადგენლის ადგილზე ვაკანსიის გაჩენის შემთხვევაში, შემცვლელი შეირჩევა ამ რეგლამენტის 3.8 ნაწილის შესაბამისად.

ნაწილი 3.9 კომპენსაცია; ანაზღაურება.

(a) საბჭოს არცერთ წევრს და დამკვირვებელს არ ექნება უფლება, რომ მიიღოს ანაზღაურება MCC-ის დაფინანსებიდან თავისი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, გარდა იმ გონივრული ხარჯებისა, რომლებიც გამომდინარეობს რეგულარულ ან საგანგებო შეხვედრებზე მათი დასწრების შედეგად, იმ პირობით, რომ ეს ანაზღაურება (i) შესაბამისობაშია კომპაქტთან და პროგრამის დეტალურ ბიუჯეტთან, (ii) გაწეულია MCC-ის წინასწარი თანხმობით, და (iii) შეესაბამება „ანგარიშვალდებული ორგანიზაციებისთვის ხარჯვის პრინციპების შესახებ“ MCC-ის სახელმძღვანელო დოკუმენტს, რომლის ნახვაც შესაძლებელია MCC-ის ვებ გვერდზე. საბჭოს მთავრობის წევრებს ეკრძალებათ ანაზღაურების მიღება მთავრობისაგან ან ნებისმიერი სხვა წყაროდან, საბჭოსთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისათვის. თუმცა, საბჭოს მთავრობის წევრებს შეიძლება აუნაზღაურდეთ ის გონივრული ხარჯები, რაც დაკავშირებულია მათ დასწრებასთან საბჭოს რეგულარულ ან საგანგებო სხდომებზე (მაგ. ტრანსპორტის ხარჯი, ან დღიური ხარჯები) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

(b) პროგრამის იმპლემენტაციის შესახებ შეთანხმების შესაბამისად, მთავრობას ეკისრება ვალდებულება, დაიცვას და გაათავისუფლოს საბჭოს თითოეული წევრი მის მიმართ წაყენებული პრეტენზიებისგან, იმ პირობით, რომ მთავრობას არ ექნება აღნიშნული გათავისუფლების ვალდებულება, იმ შემთხვევაში თუ ნებისმიერი ასეთი სახის პრეტენზია დანაკარგების, ქმედებების, პასუხისმგებლობების, ხარჯების, ზიანის ან დანახარჯების შესახებ გამოწვეულ იქნა მათ მიერ ჩადენილი თაღლითობის, უხეში დაუდევრობის ან განზრახვი გადაცდომის შედეგად.

ნაწილი 3.10 თავჯდომარე

- (a) სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარეობს პრემიერ-მინისტრი (შემდგომში „თავჯდომარე“)
- (b) თავჯდომარე ადასტურებს, რომ (i) ყველა დოკუმენტი და ანგარიში, რომელიც წარდგენილია MCC-სთვის, წინამდებარე რეგლამენტის ან კომპაქტის შესაბამისად, დამტკიცებულია საბჭოს მიერ, და (ii) ამგვარად წარდგენილი დოკუმენტები არის სწორი, ზუსტი და სრული.

ნაწილი 3.11 იურიდიულ საკითხებში დირექტორის, როგორც საბჭოს მდივნის როლი.

- (a) MCA-Georgia-ს დირექტორი იურიდიულ საკითხებში, მოქმედებს, როგორც MCA-Georgia-ს კორპორატიული მდივანი (შემდგომში „მდივანი“). იმ შემთხვევაში, თუ დირექტორს იურიდიულ საკითხებში არ აქვს შესაძლებლობა, რომ შეასრულოს მდივნის ფუნქცია, თავჯდომარემ შეიძლება დაავალოს მენეჯმენტის გუნდის სხვა წევრს (განსაზღვრულია ქვემოთ) მდივნის მოვალეობის შესრულება, ვიდრე დირექტორს იურიდიულ საკითხებში არ ექნება შესაძლებლობა, რომ განახორციელოს ეს ფუნქციები.
- (b) მდივანი პასუხისმგებელია, MCA-Georgia-ს ოფისში კორპორატიული დოკუმენტებისა და ჩანაწერების წარმოებასა და შენახვაზე, საბჭოს სხდომების თაობაზე შეტყობინების გაგზავნაზე, საბჭოს სხდომებზე დასწრებასა და შეხვედრების ოქმების წარმოებაზე, ყველა იმ დოკუმენტზე ხელისმოწერაზე, რომელზეც მდივნის ხელმოწერა არის აუცილებელი და შესაბამისი და MCA-Georgia-ს მიერ გამოცემული ნებისმიერი დოკუმენტის აუთენტიკურობის დადასტურებაზე.
- (c) მდივანი მოამზადებს შეხვედრის ოქმებს, რომელიც სულ მცირე მოიცავს, დღის წესრიგსა და ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როდის იქნა შეტყობინება მიღებული სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დამკვირვებლების მიერ, შეხვედრის დამსწრეთა და ადგილზე არმყოფ პირთა სიას და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვისა და საბჭოს მიერ განხორციელებული ქმედებების შემაჯამებელ შინაარსს.

(d) საბჭოს ყველა შეხვედრის ოქმი გამოქვეყნდება MCA-Georgia-ს ვებ გვერდზე, საბჭოს შემდეგ შეხვედრამდე ორი კვირის განმავლობაში, წინამდებარე წესდების 6.3 ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად. ოქმები შესაძლებელია გამოქვეყნებულ იქნეს სხვა ენებზეც, თუმცა, როგორც წესი, ოქმები უნდა მომზადდეს და გამოქვეყნდეს ინგლისურად და ქართულად.

ნაწილი 3.12 სხდომები; გადაწყვეტილებები.

(a) სამეთვალყურეო საბჭო გამართავს იმდენ სხდომას, რამდენიც იქნება საჭირო მისი მოვალეობების შესასრულებლად და კომპაქტის ეფექტური/ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად; სხდომები ჩატარდება იმ დროს და იმ ადგილზე, სადაც, გადაწყვეტს საბჭო ყოველ კონკრეტულ სხდომაზე.. სამეთვალყურეო საბჭოს რეგულარული სხდომები შედგება, სულ მცირე, კვარტალში ერთხელ.

(b) სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული სხდომა უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ მინიმალურ სტანდარტებს, იმისათვის რომ სხდომა ჩაითვალოს უფლებამოსილად და მის მიერ განხორციელებული ქმედებები განხილულ იქნეს ვალიდურად და იურიდიული ძალის მქონედ. აღნიშნული სტანდარტები მოიცავს შემდეგს:

(i) შეტყობინება. შეხვედრების თაობაზე შესაბამისი შეტყობინება უნდა მიეწოდოს საბჭოს ყველა წევრსა და დამკვირვებელს. შეტყობინება რეგულარული სხდომის თაობაზე უნდა მიეწოდოს საბჭოს თითოეულ წევრსა და დამკვირვებელს ასეთ რეგულარულ სხდომამდე სულ ცოტა 7 კალენდარული დღით ადრე. შეტყობინება საგანგებო სხდომის თაობაზე, მიწოდებულ უნდა იქნას საბჭოს ყველა წევრისა და დამკვირვებლისათვის, სულ ცოტა 48 საათით ადრე საგანგებო სხდომის ჩატარებამდე. ასეთი შეტყობინება უნდა: (1) მიწოდებულ იქნას ყველა წევრისა და დამკვირვებლისათვის; (2) შეიცავდეს შეხვედრის თარიღს, დროსა და ადგილს; და (3) თან ერთვის დღის წესრიგი საკითხებისა და განსახილველი დოკუმენტების ასლებთან ერთად. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, (x) საბჭოს ნებისმიერ წევრსა და ნებისმიერ დამკვირვებელს შეუძლია, წერილობითი ფორმით უარი თქვას ნებისმიერი ასეთი შეხვედრის შესახებ შეტყობინების მიღების თაობაზე და (y) საბჭოს ნებისმიერი წევრისა და დამკვირვებლის დასწრება სხდომაზე, რომელმაც უარი თქვა სხდომის შესახებ შეტყობინების მიღებაზე ჩაითვლება, უარად ნებისმიერ ასეთ შეხვედრაზე, დაადგენს საბჭოს ამ წევრისა ან დამკვირვებლის მიერ ამ შეხვედრის შესახებ შეტყობინების მიღების თაობაზე უარის თქმას. სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრა ვერ ჩატარდება მანამ,

სანამ თითოეული საბჭოს წევრი და დამკვირვებელი არ მიიღებს შეტყობინებას (ან უარს იტყვის ან განიხილავს უარის თქმას) ასეთი შეხვედრის თაობაზე.

(ii) ქვორუმი.სამეთვალყურეო საბჭოს ყველა სხდომაზე ქვორუმი შედგება, თუ მას ესწრება *ოთხი* წევრი, რომელთაგანაც (A) სულ ცოტა სამი წევრი იქნება მთავრობის წარმომადგენელი საბჭოზე და მინიმუმ (B) ერთი კერძო სექტორის წარმომადგენელი, წარმოდგენილი მათი შემცვლელების მიერ, რომლებიც წარდგენილნი არიან წინამდებარე რეგლამენტის 3.12 (c) ნაწილის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების რაოდენობა შეიცვლება MCC-ისა და მთავრობის თანხმობით, ქვორუმის და ხმის მიცემის ბარიერები ასევე შესაბამისობაში იქნება მოყვანილი MCC-ისა და მთავრობის მიერ დამტკიცებული პირობების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს სხდომაზე ვერ შედგა ქვორუმი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, რომლებიც ესწრებიან შეხვედრას, გადადებენ შეხვედრას მანამ, სანამ ქვორუმი არ შედგება.

(iii) ხმის მიცემა.

- (1) ქვემოთ მოყვანილი მეორე (2) პუნქტისა და წინამდებარე რეგლამენტის 7.1 ნაწილის გარდა, სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებებს მიიღებს სხდომაზე დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით, შემდგარი ქვორუმის პირობებში.
- (2) ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც ეხება MCA-Georgia-ს მთლიანად ან ნაწილობრივ დისპოზიციას, ლიკვიდაციას, დათხოვნას, გაუქმებას, რეორგანიზაციას, ან სხვაგვარ მატერიალურ გავლენას ახდენს MCA-Georgia-ზე, მიღებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საჭიროებს, სამეთვალყურეო საბჭოს დამსწრე წევრების ხმათა სულ ცოტა ორ მესამედს შემდგარი ქვორუმის პირობებში.
- (3) საბჭოს თითო წევრს აქვს თითო ხმა.
- (4) ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, თავჯდომარეს აქვს გადამწყვეტი ხმა.
- (5) საბჭოს თითოეული გადაწყვეტილება, არჩევანი, დანიშვნა ან ქმედება, გათვალისწინებული წინამდებარე რეგლამენტით ან სხვაგვარად გაწერილი, განხორციელდება 3.12 (b) ნაწილში ჩამოყალიბებული პროცედურის შესაბამისად.

(iv) გადაწყვეტილებების მიღება სხდომის ჩატარების გარეშე. სამეთვალყურეო საბჭოს მიერ გადაუდებელი გადაწყვეტილებები შესაძლებელია, მიღებულ იქნას ფორმალური შეხვედრის გარეშე, თუ (a) გადაწყვეტილების წერილობითი პროექტი მიწოდებულია საბჭოს ყველა წევრისა და დამკვირვებლისათვის, და (b) სულ ცოტა ხუთი წევრი (რომელთაგან მინიმუმ

ოთხი უნდა იყოს საბჭოს მთავრობის წევრი და ერთი კერძო სექტორის წარმომადგენელი) წერილობით გამოხატავს თანხმობას გადაწყვეტილებაზე.

(v) სატელეფონო კონფერენციის მეშვეობით გამართული სხდომები. წინამდებარე რეგლამენტით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებსა და დამკვირვებლებს შეუძლიათ, მონაწილეობა მიიღონ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებში სატელეფონო კონფერენციის ან მსგავსი საკომუნიკაციო აღჭურვილობის მეშვეობით, რომელიც აძლევს შეხვედრაში მონაწილე პირებს ერთმანეთთან საუბრისა და ერთმანეთის მოსმენის საშუალებას. 3.12 (b)(v) ნაწილის შესაბამისად, საბჭოს სხდომებში მონაწილეობის მიღება, უთანაბრდება ასეთ შეხვედრაზე პირის ადგილზე ყოფნას.

(c) იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს წევრს არ შეუძლია საბჭოს სხდომაზე მონაწილეობის მიღება, აღნიშნულ საბჭოს წევრს უფლება აქვს, წერილობითი ფორმით, კონკრეტული ვადების განსაზღვრით, წარუდგინოს მისი შემცვლელი მდივანს საბჭოს სხდომაზე მონაწილეობის მიზნით. ამასთანავე, (i) საბჭოში მთავრობის წევრის შემთხვევაში, მისი შემცვლელი უნდა იყოს ამ წევრის პირველი მოადგილე ან მსგავსი უფლებამოსილების მქონე ოფიციალური პირი იმავე სამთავრობო დაწესებულებაში (სამინისტროში), რომელსაც წარმოადგენს აღნიშნული მთავრობის წევრი საბჭოში, (ii) კერძო სექტორის წარმომადგენელი წევრის შემთხვევაში, მისი შემცვლელი დამტკიცებულ უნდა იქნეს სხდომაზე დამსწრე სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ხმათა უმრავლესობით და (iii) MCC-ის წარმომადგენლის შემთხვევაში, MCC-ის შეუძლია წარადგინოს თავისი წარმომადგენლის შემცვლელი პირი საკუთარი შეხედულებისამებრ.

(d) თავჯდომარე გაუძღვება სამეთვალყურეო საბჭოს ყველა სხდომას; მისი არყოფნის შემთხვევაში, სხდომას გაუძღვება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრების უმრავლესობის მიერ არჩეული საბჭოს ერთ-ერთი წევრი. საბჭოს წევრების მიერ კონკრეტული საკითხის განხილვის შემდგომ, თავჯდომარე უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და სამეთვალყურეო საბჭოს ფორმალური ქმედების განხორციელებას, საკითხის ან დოკუმენტის მიღების, არ მიღების ან გადადების თაობაზე.

(e) სამეთვალყურეო საბჭო უზრუნველყოფს, რომ MCA-Georgia-მ არ განახორციელოს (ან ვერ განახორციელოს) ნებისმიერი ის ქმედება, რომლისთვისაც აუცილებელია MCC-ის თანხმობა, კომპაქტის, მარეგულირებელი დოკუმენტის, პროგრამის იმპლემენტაციის შესახებ შეთანხმების, იმპლემენტაციის გეგმის ნებისმიერი დოკუმენტის, ნებისმიერი სხვა

დამატებითი შეთანხმების, ან პროგრამის ნებისმიერი სახელმძღვანელო დოკუმენტის თანახმად, MCC-ის წინასწარი თანხმობის გარეშე (თანხმობა უნდა იყოს წერილობითი ფორმით, თუ არ არსებობს სხვაგვარი შეთანხმება).

ნაწილი 3.13 MCC-ის წარმომადგენელი.

- (a) საქართველოში MCC-ის, ადგილობრივი დირექტორი, ან სხვა მსგავსი პირი, რომელიც შესაძლებელია დანიშნულ იქნეს MCC-ის მიერ (შემდგომში „MCC-ის წარმომადგენელი“), მონაწილეობას მიიღებს საბჭოს ყველა სხდომაზე. ეს მოიცავს საბჭოს ყველა სხდომაზე დასწრების უფლებას, საბჭოს განხილვებში მონაწილეობის, საბჭოსათვის წარდგენილი კორესპონდენციისა და დოკუმენტაციის სრულად მიღებისა და განხილვის უფლებას.
- (b) MCC-ს წარმომადგენელი წარმოადგენს MCC-ის ინტერესებს, კომპაქტის განხორციელებისა და მის შესაბამისობაში ქმედებების განხორციელების თვალსაზრისით, და არ აკისრია MCA-Georgia-ს სამართლებრივი წარმომადგენლობის განხორციელების მოვალეობა¹.

მუხლი 4

მენეჯმენტის გუნდი

ნაწილი 4.1 მენეჯმენტის გუნდის როლი და მოვალეობები.

- (a) ძირითადი პასუხისმგებლობა პროგრამის ყოველდღიურ მართვაზე ეკისრება მენეჯმენტის გუნდს, იმ ფუნქციების და პასუხისმგებლობების ჩათვლით, რომლებიც კონკრეტულად არის გაწერილი პროგრამის იმპლემენტაციის შესახებ შეთანხმებაში. მენეჯმენტის გუნდის კონკრეტული მოვალეობები მოიცავს შემდეგს:
 - (i) ფინანსური, შესყიდვების, მონიტორინგისა და შეფასების, ფისკალური ანგარიშვალდებულების, სამუშაოს, აუდიტისა და კადრების გეგმების განვითარება და მართვა;
 - (ii) პროგრამისა და მისი პროექტების ფინანსური დოკუმენტაციის წარმოება;
 - (iii) MCA-Georgia-ს მუშაობასთან და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული, ფინანსური, აუდიტორული, მონიტორინგისა და შეფასების და შესყიდვების შესახებ

¹ Fiduciary duty – (მთარგმნელის შენიშვნა)

ანგარიშების, მათ შორის კომპაქტის, პროგრამის განხორციელების შეთანხმების და შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნის თანახმად წარსადგენი ყველა ანგარიშისა და საბჭოს მიერ მოთხოვნილი სხვა ანგარიშების მომზადება, განხილვა და წარდგენა;

(iv) პროგრამისა და, კომპაქტთან, პროგრამის იმპლემენტაციის შესახებ შეთანხმებასა და სხვა დამატებითი შეთანხმებების შესაბამისი პროექტების კოორდინაცია.

(v) მონიტორინგისა და შეფასების გეგმის ყველა კომპონენტის მართვა, განხორციელება და კოორდინაცია;

(vi) MCC-სათვის წარსადგენი ანაზღაურების მოთხოვნების მომზადება (პროგრამის იმპლემენტაციის შესახებ შეთანხმების შესაბამისად);

(vii) შესყიდვებისა და შესყიდვებთან დაკავშირებული აქტივობების მუდმივი ზედამხედველობა MCC-ის პროგრამის შესყიდვების შესახებ სახელმძღვანელო დოკუმენტის შესაბამისად, კომპაქტისა და პროგრამის იმპლემენტაციის შესახებ შეთანხმების მოთხოვნების თანახმად.

(viii) კომპაქტის მოთხოვნების შესაბამისად, MCC-ის დაფინანსების გადასახადებისაგან გათავისუფლებასთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და ჩაბარება;

(ix) მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემის შექმნა და გამოყენება, კომპაქტის ყველა პროექტის ჩათვლით, სისტემატური პროგრამული და ფინანსური შესრულებისა და მიმდინარეობის დაკვირვების განხორციელებისათვის;

(x) MCA-Georgia-ს ვებ გვერდის ადმინისტრირება, კომპაქტთან დაკავშირებული ღონისძიებების, მონიტორინგისა და შეფასების გეგმის ანგარიშის, ფინანსური ანგარიშგების და კომპაქტთან დაკავშირებული შესყიდვების თაობაზე მიმდინარე ინფორმაციის განთავსების მიზნით;

(xi) კომპაქტის ეფექტური/ეფექტიანი განხორციელებისათვის აუცილებელი ნორმებისა და პოლიტიკის, ასევე ნებისმიერ დამატებით შეთანხმებასთან დაკავშირებული და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ კომპაქტის განხორციელებისას მოთხოვნილი პოლიტიკის, პროცედურების ან აქტივობების ჩამოყალიბება, ზედამხედველობა, მართვა, კოორდინაცია და განხორციელება.

(xii) სამეთვალყურეო საბჭოსათვის რჩევის გაწევა და წერილობითი რეკომენდაციების წარდგენა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც საჭიროებს საბჭოს ქმედებას; აღნიშნულთან კავშირში, მენეჯმენტის გუნდი მოამზადებს და დასამტკიცებლად წარუდგენს

სამეთვალყურეო საბჭოს შესაბამის შეთანხმებებს, დოკუმენტებს ან განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას, რომელზეც თანდართული იქნება აღნიშნული შეთანხმებების, დოკუმენტების ან საჭირო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე წერილობითი რეკომენდაცია;

(xiii) ანგარიშის, დოკუმენტის, შეთანხმების ან აქტივობების შესახებ ინფორმაციის მომზადება და სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენა შემდგომი ნაბიჯების შესახებ შესაბამის რეკომენდაციებთან ერთად, კომპაქტის, პროგრამის იმპლემენტაციის შესახებ შეთანხმების და სხვა დამატებითი შეთანხმებების მოთხოვნების თანახმად ან დროდადრო სამეთვალყურეო საბჭოს დავალების ან მოთხოვნის შესაბამისად;

(xiv) საკონსულტაციო კომიტეტებისთვის ანგარიშების წარდგენა და მათთან შეხვედრების გამართვა, სულ ცოტა, კვარტალში ერთხელ MCA-Georgia-ს პროგრამის განხორციელების პროგრესთან დაკავშირებით; და

(xv) პროგრამის განხორციელების ფარგლებში სხვა ნებისმიერი ვალდებულების განხორციელება, რომლებიც შესაძლებელია საჭირო ან მოთხოვნილ იქნას დროდადრო სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, ან გამომდინარეობდეს კომპაქტის, პროგრამის იმპლემენტაციის შესახებ შეთანხმებისა, ან ნებისმიერი სხვა დამატებითი შეთანხმების მოთხოვნების შესაბამისად;

(b) ყველა გეგმა, ანგარიში და სხვა დოკუმენტი, რომელიც წარედგინება MCA-Georgia-ს საბჭოს, მენეჯმენტის გუნდის მიერ ასევე მიეწოდება MCC-ს.

(c) მენეჯმენტის გუნდის თითოეული წევრი განახორციელებს თავის მოვალეობებს, MCA-Georgia-ს საუკეთესო ინტერესების, პროგრამის, კომპაქტის, პროგრამის და პროექტის მიზნების, გათვალისწინებით და არ განახორციელებს რაიმე ქმედებას, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის აღნიშნულ ინტერესებთან ან მიიღებს პერსონალურ სარგებელს ან გამოიწვევს ინტერესთა კონფლიქტს;

ნაწილი 4.2 შემადგენლობა

- (a) მენეჯმენტის გუნდი შედგება შემდეგი თანამდებობის პირებისაგან (შემდგომში, თითოეული წოდებული როგორც „ოფიცერი“): (1) აღმასრულებელი დირექტორი (აღმასრულებელი დირექტორი ან „CEO“); (2) ფინანსური დირექტორი; (3) შესყიდვების დირექტორი; (4) დირექტორი იურიდიულ საკითხებში; (5) გარემოსა და სოციალური საკითხთა დირექტორი; (6) გენდერული და სოციალური შეფასების დირექტორი; (7) მონიტორინგისა და შეფასების დირექტორი; (8); უმაღლესი განათლების პროექტის დირექტორი (9) ზოგადი განათლების პროექტის დირექტორი (10) ინფრასტრუქტურის მთავარი ინჟინერი; (11) ბიზნესთან, მთავრობასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დირექტორი, და (12) სხვა ისეთი მთავარი ოფიცრები, რომლებიც შეიძლება შეთანხმებულ იქნეს მთავრობასა და MCC-ს შორის.
- (b) აღმასრულებელი დირექტორი (CEO) წარმართავს MCA-Georgia-ს ყოველდღიურ საქმიანობას. აღმასრულებელი დირექტორმა (CEO) MCA-Georgia-ს სახელით შეიძლება (1) დადოს შეთანხმებები, რომლებიც შეიძლება საჭიროებდნენ წინასწარ შეთანხმებას სამთვალყურეო საბჭოსა და MCC-სთან, წინამდებარე დოკუმენტის, კომპაქტის, სხვა დამატებითი შეთანხმებისა ან პროგრამის სახელმძღვანელო დოკუმენტების შესაბამისად; და (2) განიხილოს და, სამთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით დელეგირების შემთხვევაში, დაამტკიცოს MCC-სათვის წარსადგენი ანაზღაურების მოთხოვნები. ამგვარად დამტკიცებული ანაზღაურების მოთხოვნების ასლები წარედგინება სამთვალყურეო საბჭოს მისი დამტკიცებიდან შვიდი კალენდარული დღის განმავლობაში, (3) განახორციელოს სხვა უფლება-მოვალეობები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- (c) ოფიცრები, MCC-სთან შეთანხმებული საკადრო გეგმისა და დეტალური ფინანსური გეგმის საფუძველზე, უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი ადმინისტრაციული და სხვა პერსონალით.

ნაწილი 4.3 შერჩევა; დანიშვნა; გათავისუფლება

- (a) აღმასრულებელი დირექტორისა (CEO) და მენეჯმენტის გუნდის ყველა ოფიცრის შერჩევა და დანიშვნა ხორციელდება ღია და გამჭვირვალე კონკურენტუნარიანი შერჩევის პროცესით სამთვალყურეო საბჭოს მიერ MCC-ის თანხმობით; აღმასრულებელი დირექტორი (CEO) ოფიციალურად ინიშნება და თავისუფლდება MCA-Georgia-ს სამთვალყურეო საბჭოს მიერ. MCA-Georgia-ს პასუხისმგებელი იქნება და განახორციელებს აუცილებელ ქმედებებს, MCA-Georgia-ს ნებისმიერი ოფიცრის მიერ ჩადენილ გადაცდომასა და დარღვევასთან

დაკავშირებით. მენეჯმენტის გუნდის ის პერსონალი, რომლებიც თანამდებობრივად არ წარმოადგენენ ოფიცრებს, შეირჩევიან და ინიშნებიან ღია და გამჭვირვალე კონკურენტუნარიანი შერჩევის პროცესის საფუძველზე აღმასრულებელი დირექტორის (CEO) მიერ.

- (b) MCA-Georgia, კომპაქტის, პროგრამის იმპლემენტაციის შესახებ შეთანხმებისა და სხვა დამატებითი შეთანხმებებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობების განხორციელების მიზნით, დაიქირავეს მხოლოდ კვალიფიციურ და გამოცდილ პერსონალს. MCA-Georgia პასუხისმგებელი იქნება და მიიღებს შესაბამის ზომებს, მის მიერ დაქირავებული პერსონალის მხრიდან ჩადენილ გადაცდომასა და დარღვევაზე.
- (c) თითოეული ოფიცრისა და ნებისმიერი სხვა თანამშრომლის დასაქმების პირობები, განისაზღვრება შრომითი ხელშეკრულებით, რომელიც დაიდება MCA-Georgia-სა და თითოეულ ასეთ თანამშრომელს შორის და საჭიროებს MCC-ის მიერ დამტკიცებას. MCC-ის არ ექნება არანაირი პირდაპირი ან არაპირდაპირი პასუხისმგებლობა მსგავსი ხელშეკრულებების ან შეთანხმების მიმართ.
- (d) თითოეული ოფიცრის დანიშვნა და გათავისუფლება (და მათი დასაქმების ვადა) საჭიროებს MCC-ის წინასწარ თანხმობას.
- (e) აღმასრულებელი დირექტორი (CEO), ოფიცრები და მენეჯმენტის გუნდის თანამშრომლები შესაძლებელია, იქცვნენ საქართველოს ან ნებისმიერი სხვა ქვეყნის მოქალაქეები.

ნაწილი 4.4 ანაზღაურება მენეჯმენტის გუნდის თითოეული წევრის ანაზღაურება, განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ანაზღაურება წინასწარ დამტკიცებული იქნება MCC-ის მიერ და შესაბამისობაში იქნება დეტალურ ფინანსურ გეგმასთან და სტანდარტებთან, რომლებსაც ითვალისწინებს MCC-ის სახელმძღვანელო დოკუმენტი „ანგარიშვალდებული ორგანიზაციებისთვის ხარჯვის პრინციპების შესახებ“, რომელიც შესაძლებელია მოპოვებულ იქნას MCC-ის ვებგვერდზე.

მუხლი 5

საკონსულტაციო კომიტეტები

ნაწილი 5.1 საკონსულტაციო კომიტეტების როლი

(a) საკონსულტაციო კომიტეტები, თითოეული ჩამოყალიბებული MCC-სთვის დამაკმაყოფილებელი ფორმით, იქმნება სხვადასხვა პროექტებში დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებისგან. MCA-Georgia გამოიყენებს საკონსულტაციო კომიტეტებს კომპაქტის განხორციელების მანძილზე საკონსულტაციო პროცესის გამართვის მიზნით. საკონსულტაციო კომიტეტები, პირველ რიგში, გამოიყენებულ იქნება სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფებისათვის პროგრამის განხორციელების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით და MCA-Georgia-სათვის, პროგრამასთან დაკავშირებით, რჩევის მიცემისა და შესაბამისი წვლილის შეტანით გამჭვირვალობის წახალისების მიზნით. ამ თვალსაზრისით:

(i) MCA-Georgia-ს პროექტის დირექტორები წარადგენენ პროგრამასთან დაკავშირებულ ანგარიშებს საკონსულტაციო კომიტეტების წინაშე და სამეთვალყურეო საბჭოს გააცნობენ მათგან მიღებულ რჩევას; და მოითხოვება MCA-Georgia-სა და საკონსულტაციო კომიტეტს შორის რეგულარული, პერიოდული ინტერაქცია; და

(ii) თითოეული საკონსულტაციო კომიტეტი, (1) პროგრამის განხორციელებაში ჩართავს პროგრამით დაინტერესებულ სხვადასხვა პირს და განსაზღვრულ ბენეფიციარს; (2) პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით უზრუნველყოფს MCA-Georgia-სათვის რჩევის, ხელმძღვანელობისა და რეკომენდაციის გაწევას; და (3) წარადგენს კერძო ან/და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლის კანდიდატურებს სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში.

(b). საკონსულტაციო კომიტეტების წევრებს ექნებათ რეგულარული შესაძლებლობა, რომ მენეჯმენტის გუნდსა და სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგინონ თავისი მოსაზრებები და რეკომენდაციები. საკონსულტაციო კომიტეტების წევრები ხელმისაწვდომი იქნებიან იმ ბენეფიციარებისათვის, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ, პროგრამასთან დაკავშირებული მათი კომენტარებისა და მოსაზრებების მიღების მიზნით.

ნაწილი 5.2 შემადგენლობა

- (a) საკონსულტაციო კომიტეტების წევრების რაოდენობა, შემადგენლობა და შერჩევის სტილი შეთანხმებულ იქნება MCC-სა და MCA-Georgia-ს შორის. ეს საკითხები განსაზღვრული იქნება პროექტის სფეროებისა და პროგრამის ფარგლების მიხედვით. მიუხედავად ამისა, წევრების შემადგენლობა მოიცავს მთავრობის, კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს და ყველა სტრუქტურას, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ განხილვებში კომპაქტის განვითარების პერიოდში.
- (b) „მთავრობის“ წარმომადგენლობა საკონსულტაციო კომიტეტებში შესაძლებელია, განისაზღვროს ადგილობრივი და რეგიონული მთავრობების წარმომადგენლებით, რომლებთანაც მთავრობამ გამართა განხილვები კომპაქტის მომზადების პროცესში. არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები შეირჩევიან არა მთავრობის მიერ, არამედ MCA-Georgia-ს მიერ განსაზღვრული და MCC-სთან შეთანხმებული გამჭვირვალე პროცესის საშუალებით.

ნაწილი 5.3 ვადა

თითოეული საკონსულტაციო კომიტეტის წევრის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 2 წლით, რომელიც შესაძლებელია განახლდეს.

ნაწილი 5.4 შეხვედრები; გადაწყვეტილებები;

(a) თითოეული საკონსულტაციო კომიტეტი წლის განმავლობაში ჩაატარებს პერიოდულ ზოგად შეხვედრებს, მისი ფუნქციების შესრულების მიზნით.

(b) კომპაქტის, მართვის სახელმძღვანელო დოკუმენტებისა და კომპაქტთან დაკავშირებული მმართველი დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, თითოეული საკონსულტაციო კომიტეტი მოამზადებს შეხვედრების წერილობით შინაარსს, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას და არა მხოლოდ, რაც მოიცავს ყველა დამსწრე პირის სახელებსა და გვარებს, დღის წესრიგს, განხილულ საკითხებს და საკონსულტაციო კომიტეტის მიერ შეხვედრაზე გაკეთებულ რეკომენდაციებს.

(c) შეხვედრების გამართვის თაობაზე შესაბამისი შეტყობინება მიწოდებული იქნება საკონსულტაციო კომიტეტის ყველა წევრისათვის. ზოგადი შეხვედრების თაობაზე წერილობითი შეტყობინება მიწოდებულ იქნება, სულ ცოტა შვიდი დღით ადრე.

(d) საკონსულტაციო კომიტეტის წევრების უმრავლესობა წარმოადგენს ქვორუმს საკონსულტაციო კომიტეტის ნებისმიერ შეხვედრაზე.

(e) თითოეული საკონსულტაციო კომიტეტი და მისი წევრები დაექვემდებარებიან წინამდებარე რეგლამენტის მე-6 მუხლით განსაზღვრული ინტერესთა კონფლიქტისა და კონფიდენციალურობის წესებს.

ნაწილი 5.5 კომპენსაცია. საკონსულტაციო კომიტეტის წევრებს არ ექნებათ ანაზღაურების მიღების უფლება მათი, როგორც წევრების მოვალეობების განხორციელებასთან დაკავშირებით. საკონსულტაციო კომიტეტის წევრებს შესაძლოა, ჰქონდეთ გონივრული ხარჯების ანაზღაურების უფლება, რომელიც უკავშირდება საკონსულტაციო კომიტეტის შეხვედრებზე მათ დასწრებას საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, MCC-ის წინასწარი თანხმობის საფუძველზე.

მუხლი 6

MCA- Georgia-ს პოლიტიკა

ნაწილი 6.1 ინტერესთა კონფლიქტი

(a) MCA-საქართველო შეიმუშავებს და დაამტკიცებს პოლიტიკას ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე, მართვის სახელმძღვანელო დოკუმენტების შესაბამისად.

ნაწილი 6.2 კონფიდენციალურობა

(a) MCA-საქართველო შეიმუშავებს და დაამტკიცებს კონფიდენციალურობის პოლიტიკას, მართვის სახელმძღვანელო დოკუმენტების შესაბამისად.

ნაწილი 6.3 გამჭვირვალობა

(a) გამჭვირვალობა და MCC-სა და პროგრამის ბენეფიციარების წინაშე ანგარიშვალდებულება არის პროგრამის უმნიშვნელოვანესი ასპექტები. გამჭვირვალობა არსებითად უწყობს ხელს ანგარიშვალდებულებას. ამ ამოცანების მიღწევის მიზნით, კომპაქტისა და იმპლემენტაციის შესახებ შეთანხმების სხვა მოთხოვნებთან ერთად, MCA-საქართველო:

- (i) შექმნის და დროულად და შესაბამისი ინფრომაციით განაახლებს MCA-საქართველოს ვებ გვერდს;

- (ii) განათავსებს ვებ გვერდზე პროგრამის მნიშვნელოვან დოკუმენტებს, მათ შორის კომპაქტის ტექსტს, ოქმებს და სხვა შეთანხმებებს, რომლებიც განსაზღვრულია კომპაქტით, პროგრამის იმპლემენტაციის შესახებ შეთანხმებით ან მართვის სახელმძღვანელო დოკუმენტით; და
- (iii) შექმნის ელექტრონულ ფოსტას და სხვა საშუალებებს წერილობითი კომუნიკაციისთვის, რომლის გამოყენებითაც შესაძლებლობა ექნებათ დაინტერესებულ პირებს, გამოთქვან აზრი, მოახდინონ შეთავაზება MCA-საქართველოს მიმართ.

ნაწილი 6.4 აუდიტი

- (a) MCA-საქართველოს საქმიანობის საფინანსო აუდიტორული შემოწმება ჩატარდება გარე დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ, რომელსაც შეარჩევს MCA-საქართველო და დაამტკიცებს კომპაქტისა და იმპლემენტაციის შესახებ შეთანხმების შესაბამისად.

მუხლი 7

სხვადასხვა

ნაწილი 7.1 ცვლილებები

- (a) წინამდებარე რეგლმანეტი შეიძლება, შეტანილ იქნას ცვლილებები, დამატებები, სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერ რეგულარულ თუ საგანგებო სხდომაზე, საბჭოს დამსწრე წევრთა 2/3 თანხმობით, ამ რეგლამენტის 3.12 (b) (ii) ნაწილის შესაბამისად შემდგარი ქვორუმის პირობებში, ამასთან, თითოეული ასეთი ცვლილების, დამატებების შევსებებისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს MCC-ს თანხმობა.
- (b) ზემოხსენებული ქმედების განხორციელებისთვის საჭიროა MCC-სთვის წინასწარი შეტყობინების გაგზავნა მისი წარმომადგენლის საშუალებით.
- (c) სამეთვალყურეო საბჭოს უფლება არ აქვს შეცვალოს ან ისეთი დამატება მოახდინოს წინამდებარე რეგლამენტზე, რომელიც წინააღდეგობაში იქნება კომპაქტთან, იმპლემენტაციის შესახებ შეთანხმებასთან ან სხვა ნებისმიერ დამატებით შეთანხმებასთან.

ნაწილი 7.2 კონფლიქტი

ამ რეგლამენტის დებულებებსა და კომპაქტის იმპლემენტაციის შესახებ შეთანხმებისა და პროგრამის რომელიმე სახელმძღვანელო დოკუმენტის დებულებებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში, კომპაქტის, იმპლემენტაციის შესახებ შეთანხმებისა და პროგრამის სახელმძღვანელო დებულებებს, შესაბამისი შემთხვევის მიხედვით გააჩნიათ უპირატესი ძალა.

ნაწილი 7.3 განსაზღვრებები

გამუქებულ ტერმინებს, რომლებიც გამოყენებულია წინამდებარე რეგლამენტში და არ არის განმარტებული, გააჩნია შემდეგი მნიშვნელობები:

“თავმჯდომარე” - ატარებს ამ რეგლამენტის 3.10 (a) ნაწილის შესაბამის მნიშვნელობას.

“აღმასრულებელი დირექტორი” ან “CEO” - ატარებს ამ რეგლამენტის 4.2 (a) ნაწილის შესაბამის მნიშვნელობას.

“კომპაქტი” - ნიშნავს 2013 წლის 26 ივლისს ხელმოწერილ კომპაქტს ამერიკის შეერთებულ შტატებს, წარმოდგენილს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის სახით და საქართველოს, წარმოდგენილს მთავრობის სახით შორის, რომელიც დროდადრო შეიძლება, შეცვლილი იქნას შესაბამისი მხარეების მიერ.

“განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები” ატარებს ისეთივე მნიშვნელობას, რა მნიშვნელობაც მას აქვს პროგრამის იმპლემენტაციის შესახებ შეთანხმებაში.

“დეტალური ფინანსური გეგმა” ატარებს ისეთივე მნიშვნელობას, რა მნიშვნელობაც მას აქვს პროგრამის იმპლემენტაციის შესახებ შეთანხმებაში.

“ხარჯვა” ატარებს იმავე მნიშვნელობას, რაც მას გააჩნია კომპაქტში.

“აღმჭურველი აქტი” ნიშნავს აქტს, რომელიც განსაზღვრულია ამ რეგლამენტის 1.2 ნაწილში.

“აღმასრულებელი კომიტეტი” განსაზღვრულია ამ რეგლამენტის 3.4 ნაწილში.

“მართვის სახელმძღვანელო” ატარებს იმავე მნიშვნელობას, რაც განსაზღვრულია კომპაქტით.

“მმართველი დოკუმენტი” ატარებს იმავე მნიშვნელობას, რაც განსაზღვრულია პროგრამის იმპლემენტაციის შესახებ შეთანხმებით.

“მთავრობა” განსაზღვრულია კომპაქტით.

“მთავრობის წევრები საბჭოში” ატარებს მნიშვნელობას, რომელიც განსაზღვრულია ამ რეგლამენტის 3.7 (a) (i) ნაწილით.

“საიმპლემენტაციო გეგმის დოკუმენტი” ატარებს იმავე მნიშვნელობას, რაც განსაზღვრულია პროგრამის იმპლემენტაციის შესახებ შეთანხმებით.

“განმახორციელებელი ორგანო” ატარებს იმავე მნიშვნელობას, რაც განსაზღვრულია კომპაქტით.

“განმახორციელებელი ორგანოს შეთანხმება” ატარებს იმავე მნიშვნელობას, რაც განსაზღვრულია კომპაქტით.

“მონიტორინგისა და შეფასების გეგმა” ატარებს იმავე მნიშვნელობას, რაც განსაზღვრულია კომპაქტით.

“მენეჯმენტის გუნდი” განსაზღვრულია წინამდებარე რეგლამენტის 4.1 (a) ნაწილით.

“მატერიალური შეთანხმება” ატარებს მშნიშვნელობას, რომელიც განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების შესახებ შეთანხმებაში.

“MCA-საქართველოს ვებ გვერდი” ატარებს მშნიშვნელობას, რომელიც განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების შესახებ შეთანხმებაში.

“MCC-ის დაფინანსება” ატარებს მნიშვნელობას, რომელიც განსაზღვრულია კომპაქტით.

“MCC-ის წარმომადგენელი” განსაზღვრულია ამ რეგლამენტის 3.13 (a) ნაწილით.

“MCC-ის ვებ გვერდი” ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: www.mcc.gov

“ოფიცერი” განსაზღვრულია ამ რეგლამენტის 4.2 (a) ნაწილით.

“კერძო სექტორის წარმომადგენელი წევრი” განსაზღვრულია ამ რეგლამენტის 3.7 (a) (i) ნაწილით.

“შესყიდვების გეგმა” განსაზღვრულია პროგრამის იმპლემენტაციის შესახებ შეთანხმებით.

“პროგრამა” ატარებს იმავე მნიშვნელობას, რაც განსაზღვრულია კომპაქტით.

“პროგრამის ქონება” ატარებს იმავე მნიშვნელობას, რაც განსაზღვრულია კომპაქტით.

“პროგრამის სახელმძღვანელო დოკუმენტები” ატარებს იგივე მნიშვნელობას, რაც განსაზღვრულია კომპაქტით.

“პროგრამის იმპლემენტაციის შესახებ შეთანხმება” ნიშნავს 2013 წლის 26 ივლისს ხელმოწერილ პროგრამის იმპლემენტაციის შესახებ შეთანხმებას ამერიკის შეერთებულ შტატებს, წარმოდგენილს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის სახით და საქართველოს, წარმოდგენილს მთავრობის სახით შორის, რომელიც დროდადრო შეიძლება, შეცვლილი იქნას შესაბამისი მხარეების მიერ.

“პროექტი” ატარებს მზნიშვნელობას, რომელიც განსაზღვრულია პროგრამის განხორციელების შესახებ შეთანხმებაში.

“მდივანი” განსაზღვრულია ამ რეგლამენტის 3.11 (a) ნაწილით.

“საკონსულტაციო კომიტეტი” განსაზღვრულია ამ რეგლამენტის 1.3 ნაწილით.

“სამეთვალყურეო საბჭო” განსაზღვრულია ამ რეგლამენტის 1.3 ნაწილით.

“დამატებითი შეთანხმებები” ატარებს იმავე მნიშვნელობას, რაც განსაზღვრულია კომპაქტით.